


# კომუნალიზმი

№ 19-20  
1931

1407  
13 12







მუშათა საქმისათვის: იყავ მზად!

# პ ი ო ნ ე რ ი

კომუნის და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-  
ლიბერალური ჟურნალი.

საბავთველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და  
განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური  
აღზრდის მთავარმართველოვის შუახალი—გავფ-  
თათვის.

# No 19-20

ოქტომბერი  
1931  
წელიწადი მე-6  
კადავციის მინამაკტი:  
აღმასკომის, 7.  
სახელგამი,  
საგავუმ სეკსია

## შ ი ნ ა ა რ ს ი


- ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება.
- ლენინი და გლეხოზა.
- სადლეისო—პეტრე გიგიბერია.
- მე-14 ოქტომბერი.
- ჰკიოდენ თეთრი კრეისერები—დავით შამათავა.
- პირველი დღე ქუჩაში—ბ. ჩხეიძე.
- ოქტომბრის სადარაჯოზე—ავთანდილ კაშმაძე.
- გაუპიროვნების ლიკვიდაციისათვის პიონერორგანიზაციისაში—ა. ბ.
- ანდუზიტი—ირ. აბაშიძე.
- შან-ფეის ისტორია—ს. ა.

სარედაქციო კოლეგია:

კაბანაძეან., მელაძე კ., აბაშიძე ი.,  
თაბუკაშვილი შ., გველესიანი ა.,  
საათაშვილი გ.

პ | მგ. რედაქტორი: კ. ველაძე





582

მშენებლობა ქუხნეცესტროში. ბოლშევიკური ტემპების გაზრდით ოქტომბრის  
რევოლუციის მე-14 წლის თავზე დამთავრდა ცხების მოწაში.



# ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება

წერილი რ. ს. ლ. მ. კ. (ბ) ც. კ. კ. ლ. მ. კ.

რადგან ბოლშევიკები ორივე დედაქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობას შეადგენენ, ამიტომ მათ შეუძლიათ და უნდა აიღონ კიდეც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.

შეუძლიათ, ვინაიდან ორივე დედაქალაქის მოსახლეობის რევოლუციონური ელემენტების აქტიური უმრავლესობა საკმაოა იმისათვის, რომ მასები გაიყოლონ, მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა დასძლიონ, დაამარცხონ იგი, ხელში ჩაიგდოს ძალა - უფლება და შეინარჩუნოს იგი. რაკი ახლავე დემოკრატიული წავის ჩამოგდებას მოვიწადინებთ, რაკი ახლავე მიწას გლეხებს დაურიგებთ და აღვადგენთ დემოკრატიულ დაწესებულებებს და თავისუფლებას, რომელიც კერენსკიმ გაჰქედა და დასთრგუნა, ბოლშევიკები შექმნიან ისეთს მთავრობას, რომელსაც **შეპირნი** დამხვობს.

ხალხის უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. ეს დაგვიდასტურა გრძელმა და ძნელმა გზამ მაისის 6-დან ავგისტოს 31-სა და სექტემბრის 12-მდე: დედაქალაქების საბჭოებში მოპოვებული უმრავლესობა **ნაშრომნი ჩვენსკენ მომავალი გზით** ხალხის განვითარებისა. ესერებისა და მენშევიკების მერყეობა, მათ შორის ინტერნაციონალისტების გაძლიერება ამასავე ადასტურებს.

დემოკრატიული თათბირი რევოლუციონური ხალხის უმრავლესობას არ წარმოადგენს, არამედ **მხოლოდ შემთხვევითად წვრილებურაშუაზე შედაშენებს**. არჩევნების ციფრებით თავი არავის უნდა მოვატყუებინოთ, საქმე არჩევნები როდია: შეადარეთ ერთმანეთს პეტერბურგისა და მოსკოვის ქალაქის თვითმართველობათა არჩევნები და საბჭ. არჩევნები. შეადარეთ მოსკოვის არჩევნები და მოსკოვის გაფიცვა ავგისტოს 12: აი, ობიექტური ცნობები რევოლუციონური ელემენტების უმრავლესობის შესახებ, რამელსაც მასები თავისკენ მიჰყავს.

დემოკრატიული თათბირი ატყუებს გლეხობას და არც ზავს აძლევს მას, არც მიწას.

გლეხობას **მხოლოდ** ბოლშევიკური მთავრობა დააკმაყოფილებს.

რატომ უნდა აიღონ ბოლშევიკებმა ხელისუფლება სწორედ **ახლა?** იმიტომ, რომ პეტერბურგის მოსალოდნელი დატოვება ჩვენს შანსებს 100-ჯერ მაინც გააუარესებს.

პეტერბურგის დატოვებას კი ჩვენ ხელს ვერ შეუშლით, თუ გავითვალისწინებთ იმ არმიის ძალებს, რომელსაც სათავეში მოექცევიან კერენსკი და ძმანი მისნი.

დამფუძნებელი კრების „ლოდინიც“ ვერ გვექნება, ვინაიდან იმავე პეტერბურგის დატოვებით კერენსკი და კომპანია ყოველთვის **შეისპობენ** მის ჩაშლას. მხოლოდ ჩვენს პარტიას. როცა ხელისუფლებას დეკატრონეა, შეუძლია უზრუნველყო და დამფუძნებელი კრების მოწვევა; და რაკი ძალა - უფლებას ხელში ჩაიგდებს, ჩვენი პარტია სხვა პარტიებს საქმის განგებ გაჭიანურების ბრალს დასდებს და დაუმტკიცებს კიდეც ამ ბრალდებას.

ინგლისელი და გერმანელი იმპერიალისტების სეპერატიულ წავს ხელი უნდა შეეშალოს; ეს მოსახერხებელია კიდეც, მხოლოდ საჭიროა სწრაფი მოქმედება.

მენშევიკებისა და ესერების ყოყმანმა ხალხი დაქანცა, გლეხებს მოიმხრობს და გაიყოლიებს მხოლოდ ჩვენი გამარჯვება დედალაქებში.

საკითხი შეეხება აჯანყების „დღეს“ კი არა, არა ვიწროდ გაგებულ „მომენტს“. ამას გადასწყვეტს მხოლოდ საერთო ხმა მათი, ვისაც კავშირი აქვს მუშებსა და ჯარისკაცებთან, მასებთან.


საკითხი იმას შეეხება, რომ ჩვენს პარტიას ახლა დემოკრატიულ თათბირზე გამართული აქვს ფაქტიურად **თავისი შრილობა**, და ამ ყოველზე უნდა გადასწყვიტოს (სურს თუ არა, ასე უნდა მოიქცეს) რეპრულაციის ბედ-იღბალი.

საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ **ამოცნან** პარტიისათვის ნათელი გახდეს: დღის წესრიგში დაისვას **შეიარაღებული აჯანყება** პეტერბურგსა და მოსკოვში (ოლქიანად), ხელისუფლების დაპყრობა, მთავრობის დამხობა, მოვისაზროთ, თუ როგორ გავწიოთ ავითაცია ამ საქმისათვის, პრესაში კი ასე არ ვილაპარაკოთ.


გავისხენოთ, ავწონ-დავწონოთ მარქსის სიტყვები აჯანყების შესახებ: „აჯანყება ხელოვნება“ და სხვა.

გულუბრყვილობა იქნება ლოდინი, რომ ბოლშევიკებს, „ფორმალური“ უმრავლესობა ჰყავდეს: არც ერთი რევოლუციონერი ამას არ მოელოს.

კერენსკიც და მისი კომპანიაც კი არ ელიან, არამედ ამზადებენ პეტერ-



კუზნეცის მაღაროებში



სუთწლელი ერთ-ერთი გიგანტი

ბურგის დატოვებას. სწორედ „დემოკრატიული თათბირის“ საბოლოო მერყეობამ უნდა გამოიყვანოს და გამოიყვანს კიდეც მოთმინებიდან პეტერბურგისა და მოსკოვის მუშებს. ისტორია არ ვვაპატიებს, თუ ახლა ხელისუფლებას არ ავიღებთ.

აპარატი არა გვაქვს? გვაქვს აპარატი: საბჭოთა და დემოკრატიული ორგანიზაციები. საერთაშორისო მდგომარეობა სწორედ ახლა ჩვენთვის ხელსაყრელი, ინგლისელებისა და გერმანელების სეპერატიული წავის წინააღმდეგში. ერებისათვის წავის მინიჭება სწორედ ახლა გამარჯვებას ნიშნავს.

ავილოთ ხელისუფლება უცებ მოსკოვშიც და პეტერბურგშიც. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ დაიწყებს; იქნება მოსკოვმაც შესძლოს დაწყება, ჩვენ უსათუოდ და უპირობოდ გავიმარჯვებთ.

მ. ლენინი.

1917 წ. სექტემბერი.



1901 წელს ლენინი სწერდა: „კაპიტალის ჩაგვრისაგან წერილი გლეხობა განთავისუფლებს მხოლოდ მაშინ, თუ ის მიეკედლება მუშათა მოძრაობას, მიეწველება რა მას სოციალიზმისათვის ბრძოლაში“. ოქტომბრის რევოლუციამ გაამართლა ლენინის აზრი. ამხანაგი ლენინი ყურს უდებდა იმას, თუ რაზე ლაპარაკობდნენ სოფლად, რა სურს გლეხობას. ლენინი ძალზე დატვირთული იყო საქმეებით, განსაკუთრებით ოქტომბრის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ბელადი დროს მაინც პოულობდა, რომ ესაუბრა გლეხებთან. ლენინი გულმოდგინედ კითხულობდა გლეხების წერილებს, გლეხებთან საუბრობდა და ზოგჯერ ორ-სამ საათს „პრავედა“ დროს და მიდიოდა სოფლად სოფლის გულისცემის ადგილობრივ გაცნობის მიზნით.

ყველა ეს ხდებოდა სამოქალაქო ომის და ნგრევის წლებში. ლენინი ხედავდა, თუ როგორ უძიმს გლეხს, ამიტომ ის გულმოდგინედ უდებოდა გლეხის გაჭირვებას.

ზოგიერთი სახელმწიფო საკითხის გადაწყვეტის პროცესში ლენინი თანობრობდა პრაქტიკოს გლეხებთან, და გლეხების სწორი მითითებანი ხორციელდებოდა.

ლენინს ესმოდა და უყვარდა მშრომელი გლეხობა. მაგრამ ესმოდათ კი გლეხებს ლენინის? დაფასა თუ არა გლეხობამ ლენინი, როგორც საჭიროა! ყველაზე უკეთ ამ კითხვას პასუხს თვით გლეხები აძლევენ. მოვუს მინათ გლეხ ჩერნოვს, რომელიც ციმბირიდან ჩამოვიდა მოსკოვში ლენინთან საათობრივად:

„შევივარ. ილიჩი შემომეგება.  
— თქვენ ციმბირიდან ხართ?  
— დიახ, თვით ციმბირიდან ვარ.  
— რა არის ახალი თქვენში, აბა მიაშბეთ.

თვალში მომხვდა, რომ ილიჩი ჩემთან შედარებით დაბალი ტანისაა. შეგნედე მას თითქოს ზემოდან, რატომღაც ის შეედარე მის სურათს. ჰვავს იმ სურათს, ციმბირის რევკომში რომ მიჩვენა ი. ნ. სმირონოვმა.

მივიწვევთ მაგიდისაკენ.  
— მე თქვენთან ასე არ ვილაპარაკებ, ჩემი აზრები აი ამ ქალაღზეა გამოთქმული და წაგიკითხავთ.  
— კარგია, მაშ დავიწყეთ, დაჯექით აქ.

ორივენი მის მაგიდას შემოვუსხედით, მოვუჯექი ლენინს გვერდით. ჩემი ნაწერის კითხვის დროს, უნებლიედ შეგყურებდი ხოლმე ილიჩს. დღესაც მახსოვს, ასე მგონია გუშინ იყო: ვხედავდი როცა ვკითხულობდი პირველ სტრიქონებს, თითქოს ილიჩი მოწყენილი მისმენდა. მაგრამ შემდეგ ის პირდაპირ მიყურებდა

მკაცრად და თითქოს ხუჭავდა მარცხენა თვალს. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემმა კითხვამ მასზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. წერილი მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა. როცა კითხვა გავათავე, ვიგრძენი, რომ მის მიერ საკითხი უკვე გადაჭრილია, მაგრამ საქმე რა მიმართულებას მიიღებდა, არ ვიცოდა.

ყოტა სიხუმის შემდეგ ლენინმა მომმართა:  
თქვენ ვინა ხართ, მიაშბეთ.

ვუაშბე, რომ მე ყოფილი პოლიტკატორღელი ვარ. წინად სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიას ვეკუთნოდი. ეხლა თავს უპარტიოდ ვთვლი. დღევანდლამდე ვცხოვრობ ციმბირში, მაქვს ჩემი მეურნეობა. ისიც კი ვუაშბე, თუ რას წარმოადგენს ჩემი მეურნეობა.

მეორე კითხვა:  
— მიაშბეთ, როგორ გესმისთ პროგრესიული საშემოსავლო გადასახადი ასე ვუბასუხე: გადასახადი იზრდება ხნულის რაოდენობის მიხედვით, ე. ი. თუ ერთ მოხუც დღიურზე უნდა გადახდელი იქნას მანეთი, ორზე არა ორი, არამედ უკვე სამი მანეთი.

ჩემი მოწინებება ორი დღის შემდეგ დაიბეჭდა „პრავედა“-ში. პირველი ჩემი სტრიქონები უკვე დაბეჭდილია! ვცხოვრობდი საბჭოების მეორე სახლში. საერთო საცხოვრებელში იყო არა ნაკლებ 50-60 კაცისა.

ერთი კვირის შემდეგ შევიარე პარტიის ცეკაში.

სერებრიაკოვი ამბობს:  
— იცი თუ არა, ჩერნოვო, როგორი შედეგები გამოიღო შენმა საუბარმა ლენინთან!

მიჩვენებს რ. კ. პ. ცეკას მიერ მიღებულ რეზოლუციას. გამოირკვა, რომ იმ ხანებში, როცა მოსკოვში ჩამოსვლას ვაპირებდი, უკვე აზრი მწიფდებოდა გაწერის გადასახადის შეცვლისათვის.

ლენინი მისმენდა არა როგორც გამორჩეულ პიროვნებას. მას სურდა ჩემის საშულებით დაემტკიცებია სისწორე გადაწყვეტილებისა, გლეხობის ხმას ყურს უდებდა.

აი ყველაზე საუკეთესო დახასიათება ბელადისა. ილიჩი ყოველ ღარიბ გლეხს სიყვარულით და გუმოდგინედ უსმენდა, ივებდა მათ გულის ნაღებს და ტკივილებს, ეხმარებოდა მათ, და ამიტომ უყვარდათ და უყვართ და დიდად აფასებენ მსოფლიო პროლეტარიატის და ჩაგრულთა ბელადს აშხ. ლენინს.

ძალღონე არის საჭირო შრომის აღმური გვერდებამხანაგებო დავჭიმოთ ჩვენი ძარღვები ღვედებად.

ქლოშინს უმატეს ქვაბებმა მოვდივართ გივანტ ბიჯებით აღმშენებლობის ქვა - კლდევართ ენტუზიასტი ბიჭები.

მკერდები აღარ შედრკება სიძნელესთან გვაქვს ომები დამკვრელ ტემპებით შენდება ცხოვრება დაუდგრომელი.

ვინ დარჩენილა გულბნელი დღენი გუგუნით გადიან ჯანგამართული კუნთები ბევრ დაბრკოლებებს გადიარს:

თუ ვინმემ მგელურ გვიღრინა ჩვენ საპასუხო ვიჭექოთ, რადგან ტემპების ღვიძლი ვართ აბორბლებული ბიჭებო.

მოგორავს დღენი თქრიალა შენების ტემპებს ვესევით მოვსპოთ, მოვგლიჯოთ მთლიანად ძველი ცხოვრების ფესვები.

უკან ვინ დაგვახვენიებს? მავნებლებს რისხვას ვარგუნებთ, ვაწყობთ საკუთარ ხელითვე სოციალიზმის აგურებს.

მშენიბობაში ჩავეებით გული ხალისმა მოზანა, პიონერული მკლავები დაიპყრო გარჯილობამა.

ძალღონე არის საჭირო აღმშენებლობა გვედება, ამხანაგებო, დავჭიმოთ ჩვენი ძარღვები ღვედებად.

## კმტრე ზიზიზერია.



ცემენტის გამოსაწავი ლუმელი



„ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება“ — სწერდა ოქტომბრის წინა დღეებში ამხ. ლენინი და ე' ასეც მოხდა. ჩვენ გავიმარჯვით და ჩქარი ნაბიჯებით მივიღეთ ვართ წინ. ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად შეარყია ძველი მმართველი კლასები და მათი ბატონობიდან ქვეყანა არა დატოვა რა. პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის მტკიცე და ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ხელთ აიღო ძალა უფლება და გახდა დიქტატორი. დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხობისა, — ესაა დიქტატურა მასებზე ძალადობის გარეშე. დიქტატურა ნებით მასების, დიქტატურა ამ მასების მტერთა ნებისყოფის ასალაგმავად“ (სტალინი).

ისტორიის მიერ განწირული მართველი კლასები სიძველეთა არქივს ჩაბარდა. ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიოს ერთ მეექვსედზე მთელი გარდატეხის მომხდენია საზოგადოების განვითარების ისტორიაში, რომლის შემდეგაც მსოფლიოს ერთ მეექვსედმა სულ სხვა მიმართულებით დაიწყო განვითარება.

მეფის რუსეთს ბოლო მოეღოსაფუძველი ეტლება აზიურ უკუტურობას. სოციალიზმი ჩვენში იმარჯვებს. სამკედრო - სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს სოციალისტურ და კაპიტალისტურ სექტორს შორის. გამარჯვება სოციალისტურ სექტორის სასარგებლოდ მთავრდება. ჩვენ შევედით სოცია-

ლიზმის პერიოდში და ჩქარი ნაბიჯით მივიღეთ წინ. ყოველივე ეს შედეგია დიად ოქტომბრისა. არ გამართლდა მტრების იმედები, რომლებიც ზიზღით გვიცქეროდნენ და თითებზე ითვლიდნენ ბოლშევიკების არსებობის დღეებს. მათი აზრით ბოლშევიკების გამარჯვება დროებითი იყო... მაგრამ ისტორიულმა სინამდვილემ თავისი გაიტანა... ჩვენი რევოლუცია იყო სოციალისტური რევოლუცია და მან ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გაანთავისუფლა მუშათა კლასი ჩაგვრა - წამებისაგან. რამდენიმე ასეულ წლებით გამეფებულმა მეფის რუსეთმა მუშათა კლასი მიწასთან გათელა და გაასწორა. მათი ჩაგვრა, მონობა დღითი დღე ძლიერდებოდა. იზრდებოდა რევოლუციონური მოძრაობა და 1905 წელი ამის საუკეთესო დამადასტურებელი ისტორიული დოკუმენტია. მსოფლიო იმპერიალისტურ ომის შემდეგ 1917 წლის თებერვალში იფეთქა რევოლუციამ, მაგრამ მან მუშებს და გლეხობას მაინც ვერ მისცა თავისუფლება. თებერვალში მეფე ჯარის კაცებმა და მუშებმა ჩამოაგდეს, მაგრამ დაამარცხეს რა მეფე, მათ არ მოისურვეს საკუთარ ხელში აეღოთ ძალა-უფლება. მუშებმა და ჯარის კაცებმა, რომელთაც უხეირო მწყემსნი, — ესერები და მენშევიკები ჰყავდათ, ნებაყოფლობით გადასცეს ხელისუფლება მემანუღლეთა და კაპიტალისტების დამკაშებს: მილიუკოვებსა და ლვოვებს, გუჩკოვებსა და კონოვანოვებს. ეს იყო გამარ-


ჯვებულთა სახელისწირო შეცდომა, ამ შეცდომის გამო აგებენ ახლა პასუხს ჯარისკაცები ფრონტზე, მუშები და გლეხები ზურგში.

მეფე რომ ჩამოაგდეს, მუშები კი რასა და საუშუალოს მიღება ფიქრობდნენ, ამის მაგივრად „მიიღეს“ სიძვირე და შიმშილობა, ლოკაუტები და უმუშევრობა. რატომ? იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან კაპიტალისტებისა და სპეკულიანტების დამკაშები, რომელთაც სურთ მუშები შიმშილობით დაიმორჩილონ. მეფე რომ ჩამოაგდეს, გლეხები ფიქრობდნენ მიწის მიღებას. ამის მაგივრად მათ „მიიღეს“ თავისი დეპუტატების დაპატიმრებანი და დამსჯელი ესპედიციები. რატომ? იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან მემანუღლეთა დამკაშები, რომელნიც გლეხებს არაფრის გულისათვის არაფერს დაუთმობენ... რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ძალა-უფლება ხელშეშერჩათ მემანუღლებსა და კაპიტალისტებს, ბანკირებსა და სპეკულიანტებს, მცარცველებსა და დაღალმევანშეებს, რაშია მუშებისა და ჯარისკაცების სახელისწირო შეცდომა, აი რა არის მიზეზი ახლანდელ უბედურებათა ფრონტზე და ზურგში.

„ეს შეცდომა ახლავე უნდა გამოსწორდეს, დადგა მომენტი, როდესაც შემდგომი დაყოვნება რევოლუციის მთელ საქმეს დაღუპვით ემუქრება. საჭიროა ახლანდელი მთავრობა მემანუღლების და კაპიტალისტებისა შეიცვალოს მუშათა და გლეხთა ახალი მთავრობით. ის რაც ვერ გაკეთდა თებერვალში, უნდა გაკეთდეს ახლა“ — ასე სწერდა ამხ. სტალინი 1917 წ. 6 ნოემბერს გაზ. „რაბოჩი პუტ“-ში.

მართლაც, რაც არ გაკეთდება თებერვალში, ის გაკეთდა ოქტომბერში. მოხდა ის, რასაც ამბობდნენ და აწყობდნენ ბოლშევიკები. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საშუალება მიეცა მუშათა კლასს თავისუფალ ცხოვრებისა. გაუმჯობესდა მათი ეკონომიური პირობები და კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით ჩამბული არიან სოციალისტურ მშენებლობაში, რომლებიც ყოველდღიურად ზრდიან ბოლშევიკურ შრომის ენტუსიაზმს.

მტრების იმედები არ გამართლდა. ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ ოქტომბრის რევოლუციის შე-14 წლის თავს და ჯამს ვუკეთებთ იმ მიღწევებს, რომელსაც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში მივალწიეთ. არც ერთ პარტიის ისტორიას არ ახსოვს დროის ამ მცირე მანძილზე გაეკეთებინა ის რის გაკეთებაც ამ 14 წლის განმავლობაში ბოლშევიკებმა შესძლეს.



გიტლერი ფაშისტების აღლუმზე



წელს ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის ჩატარება გეხდებოდა მაშინ, როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ ხუთწლედის მესამე ვადამწყვეტ წელში და შესული ვართ სოციალიზმის პერიოდში. წელს, 14 ოქტომბერს ვატარებთ მაშინ, როდესაც ჩვენში სოციალისტური შეტევა გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს და მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე ხორციელდება ლოზუნგი—კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისა, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობა გართულებულია და მთელი კაპიტალისტური მსოფლიო შესულია გამოუვალ ეკონომურ კრახისის ჩიხში.

დღეს ჩვენს წინაშე მეტად გაზრდილი ამოცანები სდგას და მე-14 ოქტომბერს ხაზს უსვამთ იმ საბრძოლო ამოცანებს, რომელიც ჩვენ ბოლო შევიკეთებდით უნდა შევესრულოთ. ოქტომბრის დღესასწაულს არასდროს არ ჰქონია მიცემული მარტო სახეიშო ხასიათი. ამ დღეს ჩვენ მობილიზაციას გაუკეთებთ მთელ ჩვენს ძალებს პარტიის მიერ დაყენებულ საბრძოლო ამოცანების გადასაჭრელად. როგორც ყოველთვის, ისე ამ დღესაც ჩვენ მტკიცეთ დავირაზმებით პარტიის საბრძოლო ამოცანების ირგვლივ მისი ურყევად გატარებისათვის.

მე-14 ოქტომბერი განსაკუთრებულ დატოვდა დარჩება ოქტომბრის დღესასწაულთა ისტორიაში. ამ დღეს მთელი მსოფლიო მუშათა კლასი ერთხელ კიდევ აღიმალღებებს ხმას მსოფლიო იმპერიალისტ-ყაჩაღების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დასაცავად. ჩვენი ოქტომბერი წინამორბედი მსოფლიო ოქტომბრისა, რომელმაც —ოეს თუ ხვალ უნდა შეარყიოს ძირფესვიანად დამყაყებული და ძირმომპალი კაპიტალისტური სამყარო.

ოქტომბრის მონაპოვარი დღითი დღე მტკიცდება და იზრდება. ეს გრანდიოზული და ისტორიაში არ გაგონილი მშენებლობა, რომელიც ამჟამად ჩვენში მიმდინარეობს ოქტომბრის რევოლუციის პირმშო შვილია. ხუთწლიანი გეგმა—ეს მთელი ჩვენი სამოქმედო პროგრამაა. არ გამართლდა ბურჟუაზიულ მეცნიერების „წინასარმეტყველება ხუთწლ. გეგმის არა რეალობის შესახებ და არც ჩვენს რიგებში მყოფ უნებისყოფო მოწუწუნე ხალხის შემარჯვენე „მემარცხენეების“ ლაყობა. ისტორიული პუცილებლობა თავისას შვება. იმპერიალისტურ ქვეყნების გარემოცვა იზრდება და წინ მიდის საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობა. საბჭოთა კავშირი ის ქვეყანაა, რომელმაც პირველად მოსპო უმუშევრობა და არ ყოფნის მუ-

შა ხელი. ეს იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრობა არმიები დაეხიზიბიან ქუჩა-ქუჩა და ამტვრევენ რაც შეხვდებათ წინ.

საბჭოთა კავშირისაკენ დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნების ყველა დიდ მეკლევარს და მეცნიერს უჭირავს თვალი. ისინი დიდი ყურადღებით ეცილებიან ჩვენს ყოველ ახალ მიღწევებს. სპეციალურ მოხსენებებსაც კითხულობენ ჩვენი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ბურჟუაზიულ ბანაკს აზინებს ჩიხი ხუთწლიანი გეგმა და მოუცილებელი აჩრდილივით დასტრიალებს ფიქრი თავს მისი გამარჯვებისა. ცნობილი ბურჟუაზიული გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატტ“-ი სწერდა „საწყალი ძველი ევროპა, ხაში მხოთხედი, რომ განხორციელდეს ექსპერიმენტი, მაშინ იჭვის შეტანა არ მოგვიხდება მის საბოლოო გამარჯვებაში. ეგ იქნებოდა სოციალისტური მეთოდების გამარჯვება“.


თუ ერთი ბურჟუაზიული გაზეთი შიშობს ხუთწლედის განხორციელებით, არა ნაკლებ შიშს გამოსთქამს ამერიკის კაპიტალისტური პრესის გაზეთი „ნიუორკ ტაინსი“-ს წარმომადგენელი. „ყოველმა ეკონომისტმა იცის, თუ რას ნიშნავს დიდი ქვეყნის საწარმოო პროდუქციის ყოველდღიურად გადადიოდა ვსთქვათ, თუნდაც ათი პროცენტით მისი ერთი მესამედი ვადიდების ცდა სიგიჟეა, მაგრამ იოხებ სტალინი ვგრე არ ფიქრობს, მან იცის, რომ რუსეთი წარმოადგენს განუხაზდვრედ შესაძლებლობათა მხარეს, თითქმის ხელუხლებელ რესურსებით, მე ვფიქრობ, რომ მისი ნებისყოფის ვავლენით პროგრამა შესრუ-

ლებული იქნება“. აღნიშნული წერილი ჩვენდა სასარგებლოდ ლაპარაკობს. ხუთწლიანი გეგმის რეალუბადღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში სწამთ და მისი ყოველი ახალი მუნლის შესრულება სასიკვდილო ლახვარია მიმართული კაპიტალისტურ სამყაროს მიმართ...  
ცნობილმა ფრანგმა ბურჟუაზიულმა მწერალმა რომენ როლანმა მიმართო მსოფლიო კაპიტალიზმს „ევროპავი უარყავ ძველი, ამ მოკვდი“.

რომენ როლანის ეგ თქმა ვაბედული ნაბიჯია ჩვენდა სასარგებლოდ. იგივე რომენ როლანი ილაშქრებს იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ და მთელი მისი სიმბატია იხრება საბჭოთა კავშირისაკენ. ინგლისის ცნობილმა მწერალმა ბერნარდ შოუმ, 70 წლის მოხუცმა თვითონ, თავისი თვალთინახულა ამ რაიოდენიმე თვის წინად საბჭოთა კავშირი და დარწმუნდა იმ უდიდეს გამარჯვებებში, რომელსც ჩვენ შივალწიეთ სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე.

ბერნად შოუმ მოსკოვში ინახულა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები. მას საუბარი ჰქონდა ამხ. სტალინთან და ინგლისში დაბრუნების შემდეგ შოუმ მთელი რიგი წერილები მოათავსა ინგლისის ბურჟუაზიულ პრესაში საბჭოთა კავშირში წარმოებულ სოციალისტურ მშენებლობის შესახებ. რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყნებს მიუთითებდა შრომის იმ მეთოდების გამოყენებისაკენ, რომელსაც მიმართავენ საბჭოთა კავშირში კომუნისტები.

შოუს ასეთი აღფრთოვანება საბჭოთა კავშირში წარმოებულ სოციალისტურ მშენებლობით ინგლისის ბურჟუაზიამ შოუს მოხუცობას მიაწერა.



საორგანიზაციო სხდომა სოფ. ალექსანდროვის (აფხაზეთი) გაერთიანებულ საბჭ. მეურნეობების გამგეობისა.




სოხუტმა კაცმა, რომლის ძვალ-რბოლი გაუღწიოდა ბურჟუაზიულ განწყობილებით, მხაც კი დაინახა ჩვენს ქვეყანაში გრანდიოზული მშენებლობა. ყოველივე ეს მსოფლიოზე თავისებურ გავლენას ახდენს. მუშათა კლასი მსოფლიოში რეკოლიუციონურადაა განწყობილი. დღეს თუ ხვალ მსოფლიოც უნდა გასაბჭოვდეს და იქაც უნდა დაიშალოს გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა.

ხუთწლიან გეგმის უკანასკნელმა წელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტმა წელმა გარდამწყვეტი გარდატეხა მოახდინა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ კომუნისტური პარტიის მტკიცე და ლენინური ხელმძღვანელობით შევედით სოციალიზმის პერიოდში და ამ წელს უნდა დავასრულოთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების დამთავრება. ლოზუნგი დავეწიოთ და გაუსწროთ უკვე პრაქტიკულად ხორციელდება. ჩვენ ყოველდღიურად ვიზრდებით და ყოველგვარ მოლოდინს ვაქარბებთ. ასე მაგ. ხუთწლიანი გეგმით 1929-30 წლისათვის გათვალისწინებული იყო სამრეწველო პროდუქციის ზრდა 21,5 პროცენტით, ნამდვილად კი გაიზარდა 25 პროცენტით, მართო უკანასკნელ წელს (1929-30წელი) ჩვენ გავაორკეცეთ კაპიტალური დაბანდება ინდუსტრიაში და 2 წ. მანძილზე მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალი შეადგენს 5 მილიარდ მანეთს, ხუთწლიანი გეგმით კი გათვალისწინებული იყო 3.870 მილიონი მან. დაბანდება. ერთი-მეორეზე შენდება სოციალისტური ინდუსტრიის ბუმბერაზები: „მაგნიტოსტროი“ „კუხნეცოსტროი“, სატრაქტ. ქარხნები, ავტომანქანები, ელსადგურები და სხ. ხუთწლედის მთელი პროგრამა ხუთწლედის მესამე წილს შესრულდება 78 პროცენტით. შიშვე მრეწველობაში კი 98 პროცენტით. იმ ანალო საწარმოთა ღირებულება, რომლებიც მესამე წელს ამუშავდება, რევოლუციამდე არსებულ მთელი მრეწველობის ღირებულებას უდრის.

სახალხო შემოსავალი მესამე წელს 49 მილიარდ მანეთს შეადგენს, ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის კი გათვალისწინებული იყო 49.7 მილიარდი მანეთი. ასე რომ გეგმეტი გადაჭარბებით სრულდება. სინამდვილე მიწასთან ასწორებს მემარჯვენე—„მემარცხენეთა“ წუწუნს და უიმედო მოთქმას ჩვენი მრეწველობის შესახებ. ხუთწლიანი გეგმა, რომ რეალურია, დღეს ეს პატარა ოქტომბრელებმაც კი იციან.

შევედით თუ არა ჩვენ სოციალიზმის პერიოდში? მართლაც შევე-



ალმზრდელი ქალი ესაუბრება ბავშვებს

დით თუ არა ჩვენ სოციალიზმის პერიოდში? სვამდა კითხვას მე-16 პარტ-სრილობაზე ამხ. სტალინი და იქვე პასუხობდა „ჩვენს პერიოდს ჩვეულებრივად კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი ჰქვია. გარდამავალი ჰქვია 1918 წელს, როდესაც ლენინმა თავის ცნობილ წერილში „მემარცხენე სიყმაწვილე“-ში პირველმა დაახასიათა ეგ პერიოდი სამეურნეო ცხოვრების ხუთი წყობით. ჩვენ ფეხი შევდგით სოციალიზმის პერიოდში, რადგან ესაა სოციალისტურ სექტორს ხელთ უპყრია მთელი სახალხო მეურნეობის სამეურნეო ბერკეტები, თუმცა სოციალისტურ საზოგადოების შექმნამდე და კლასობრივ წინააღმდეგობის მოსპობამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია“. ყველამ იცის, რომ ჩვენ სოციალიზმის პერიოდში ერთბაშად არ შეესულვართ, არ შევქნებულვართ, არამედ ჩვენი პარტიის ლენინური პოლიტიკის საშუალებით, როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხებში, ისე სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა და გლეხობასთან ერთობის საკითხში. ისტორია ტყუილად არაფერს იძლევა. მისგან ყველაფერი ბრძოლით უნდა მიიღო. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატის ხანგრძლივმა ბრძოლამ, პარტიის გამობრძმედილობა პოლიტიკამ ჩვენ გამარჯვებამდე მიგვიყვანა — ჩვენი ქვეყნის სოციალიზმის პერიოდში შესვლით (კოსარევი).

მრეწველობის დარგში ლენინის ცნობილი ფორმულა ვინ-ვის ძირი-

თადატ ჩვენდა სასარგებლოთ გადაწყდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვითომდა ეგ საკითხი იხსნება დღის წესრიგიდან. მართალია, სასწორი სოციალისტურ სექტორისაკენაა გადახრილი, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალიზმის ნარჩენები — მისი ფესვები, კულაკები, რომლებიც უბრძოლოდ არ ტოვებენ ბრძოლის ასაბრუნს.

ხუთწლედის მესამე წელს უნდა დასრულდეს სოციალისტურ ეკონომიკის საძირკვლის აგება.

რას ნიშნავს ეს? ამის შესახებ ამხ. სტალინი ამბობს: „სოციალიზმის ეკონომიური ბაზის შექმნა, იმას ნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეობა დაუქვემდებაროთ სოციალისტურ ინდუსტრიის ხელმძღვანელობას, მოვარდით ურთიერთობა სოფლისა და ქალაქს შორის სასოფლო მეურნეობისა და ინდუსტრიის პროდუქციების პირდაპირი გაცვლა - გამოცვლის საფუძველზე, დავხუროთ და ლიკვიდაცია უფოთ იმ შესაძლებლობას, რომელთა მეშვეობით უპირველესად ყოფლისა იბადება კაპიტალი, შევქმნათ წარმოებისა და განაწილების ისეთი პირობები, რომელთაც მიგყავართ პირდაპირ უშუალოდ კლასების მოსპობისაკენ“.

სოფლად საკოლმეურნეო მოძრაობა გაშლილი ფორმით მიმდინარეობს. ღარიბი და საშუალო გლეხი მასიურად შემოტრიალდა საკოლმეურნეო მოძრაობის მძლავრმა ტალღებმა გამოიწვიეს კოლაკობის წინააღმდეგობა. თუ რომ ქალაქის მრე-




წველაში საკითხი ვინ-ვის ძალი-  
თადათ ჩვენდა სასარგებლოდ გადა-  
წყდა. სოფლის მეურნეობაში უპირა-  
ტესობა სოციალისტური სექტორის  
ხელშია, მაგრამ ეს გარემოება არ  
ნიშნავს მას, რომ ჩვენ ვინ-ვის იქაც  
გვქონდეს გადაჭრილი.

ამ უდიდეს გამარჯვებებზე მილ-  
წვეა პარტიამ შესძლო ორ ფრონტზე  
შეუწებელ ბრძოლის წარმოებით.  
კომუნისტურ პარტიას არასდროს არ  
დაუხვევია სიძნელების წინაშე. ჩვენ  
მიღწევები არ მოგვიპოვებია უცებ,  
ერთი ხელის დაკვრით, უმტკივნეუ-  
ლოთ, არამედ პირიქით, ჩვენ ყო-  
ველ ახალ პოზიციას ვიღებდით,  
ვიჭერდით ბრძოლით და სიძნელე-  
ბის დაძლევით.

14 ოქტომბერზე ჩვენ ვაჯამებთ იმ  
მიღწევებს, რომელსაც ჩვენ ამ ხნის  
განმავლობაში მივალწიეთ. ამ დღეს  
მსოფლიო პროლეტარიატი ერთხელ  
კიდევ აღიმალღებს ხმას მსოფლიო  
კაპიტალიზმისა და ბებერ ევროპის  
წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დასა-  
ცავად იმპერიალისტ - ყაჩაღების  
თავდასხმისაგან.

14 ოქტომბერი ჩვენი ბრძოლისა,  
შრომისა და გამარჯვების დღესა-  
სწაულია. მე-14 ოქტომბერზე ჩვენ  
მოვდივართ ფოლადისებური სიმტკი-  
ციტ პარტიის მიერ დასახულ საბრ-  
ძოლო ამოცანების ბოლშევიკურად  
შესასრულებლად.



# ჰეიოდენ თეთრი პრამისკრუბი

იმ ღამით ვიცი ვიღაც თეთრი...  
ნისლ დაწოლილი სჩანდენ სერები,  
შორით კრონშტატის სანაპირო-  
დან.

ჰეიოდენ თეთრი კრეისერები.  
ცა აიწეწა ყომრალ ღრუბლებით.  
აშარი ქარი ველზე წიოდა...  
ამბოხებული მეზღვაურების,  
რკინის რაზმები გამოდიოდა.

— : —  
დღე არ ცდებოდა მეფის დროსა-  
სავით,  
წუთს გაქანება ქონდა ზრიალით,  
ცხრაას ჩვიდმეტის იდგა თოვლ-  
შვავი  
და შემოდგომა ქარიშხლიანი...

— : —  
ზოგი ფიქრობდა მიზნებს აურევთ!  
ბევრჯერ ასეთი ხერხიც უცდიათ...  
მუშებს, პარტიულებს და მეზღვა-  
ურებს,  
მოქონდათ მკერდით რევოლიუ-  
ცია.

— : —  
მე თვით მიამბეს და ეს მაგონებს,  
მტრის ურდოები თითქო გარბიან,  
თითქო მოყავდეს რკინის ვაგო-  
ნებს,  
გამარჯვებული ჩვენი არმია.

— : —  
ის მომკვლარყო არვინ ტირო-  
და...  
მოოქროვილი იდგენ სერები,  
მხოლოდ კრონშტატის სანაპირო-  
დან:  
ჰეიოდენ თეთრი კრეისერები.

— : —  
და დღეს არ წივის ტყვია ნაგანის,  
ზღვა სინარული ჩვენებს რგებიათ,  
სუთას თვრამეტი მებრძოლთა-  
განი:  
ტემპში გასული გიგანტებია.





— : —  
თვით რესპუბლიკამ ტემპი აღი-  
და...  
დროს სინარულით ტემპში ვანაღ-  
დებთ!  
წარმოველთ ბრძოლის ბარიკატი-  
დან  
მოველთ შენების ბარიკადამდე...

— : —  
ჩვენ დავმარცხდებით?! როგორ  
გგონიათ...  
ჩვენ ქარიშხლებში წამოვიზარდეთ!  
ჩვენ გამარჯვება ბევრი გვქონია:  
ზღვებს გადავიართ ბრძოლის მიწ-  
ნამდე.

— : —  
მართლა დილისას არვინ ტირო-  
და...  
მოოქროვილი იდგენ სერები...  
შორით კრონშტატის სანაპირო-  
დან:  
ისევ მოსჩანდენ კრეისერები.  
დავ. შამათიავა.




# სოციალისტური ეკონომიკის




პირენეზო, ვიბრატორთ სოციალიზმის საქირკვლის  
დამთავრებისათვის

ბრძოლა ტემპებისათვის ნიუნავს სოციალიზმისათვის  
ბრძოლას





# მღალი ტექსტის მარკეტინგი





(ნაწამები მოთხრობიდან)

ისინი ებრაელები იყვნენ.

მაკარიმ გამოიხედა სკამის ქვეშინი პირდაპირ მგდომარე თეთრ წვერა ნოხუცს მოჰკრა თვალი.

— რუს ხელმწიფის საქმე...

და შესწყვიტა სიტყვა. შეხედა სკამის ქვეშ მაკარის და რა დარწმუნდა საშიში არაფერი იყო განაგროძო:

— ცუდად არის... ამბობენ ტანტიდან გადმოუფლდათო.

ამ დროს ობერ კონდუქტორმაც ჩამოიარა, გასინჯა ბილეთები და გავიდა პირდაპირ კარებში.

მოხუცი ებრაელი შესწორდა, შეძლებ დაიღუნა და მაკარის ბეჭებში მოავლო ხელი.

— გამოდი, ჩამოჯექი, ნულარ გეშინიან, დღეს ხმას შინაც ველარ გაგცემენ.

მაკარი გამოძვრა, მოიხდარბა კუთხეში და აყოლებდა თვალს ქროლკა მიმავალ ვაგონიდან გრიალთ უკან ჩამორჩენილ მთა გორაკებს. ქაოი არხვედა უფოთლო კვირტწყლიან მცენარეებს. კლდეებზე მწვანე ოაზისებივით მოსჩანდნენ სუროთი გადავლილი კონცხები. ფვიმრატებს ამოეყოთ მოკაუტებული თავები და ქვევით უფსკრულში ტრიალით და მტვრევით მიჩანჩქარებდა მდინარე. მაკარი არ გასცილებოდა დაბას სადაც ის დაიბადა. გაახსენდა ჭიათურა, მურიანი, ქვაბის ძროსავით, დალარული და დახეთქილი მოვარდნილ ღვარებისაგან, ამდგარი სულშემგუბი მტვერი, მზავი ადამიანების გროვა და ძარიანი ურმების ჯგლეით ცვლა ორდობებში.

ყველაფერს ის სცილდებოდა, ვის იცის რამდენი ხნით. იქნებ სამუდამოთაც. და წამოიდგინა თავისი დაბა, როგორც ყვავილით დაავადებული დედა, რომელსაც რალაც ინსტიქტის წყალობით შვილები ერიდებიან.

უცებ მატარებელი დაეშვა თავდაღმართზე. დაიკვილა, როდესაც მაკარიმ კიდევ გამოიხედა გარეთ, და ინახა რკინის გზის დიდი სადგური და მაგისტრალის ვებერთელა ორთქლმავლები.

მოიკითხეს მაკარი და მოიკიდეს ბარგიც ზურგზე. აღრინებულმა მოლაპარაკემ კი ეხლა თამამად განაცხადა.

— მართალი ყოფილა, აი ხომ ხედავ!

და გაიშვირა ხილი სადგურის ბაქანებისაკენ. შეკრებილ ხალხს ნაჩქარევად დაეკრათ გრძელ ჯოხზე წითელი ნარმა. ხალხის თავზე ფრიალებდა წითელი დროშა. დაეტუსალებინათ კვანძის რწმუნებული უანდარმი და ებრაელმა მხოლოდ იმის დანახვის შემდეგ დაიძახა:

— მართლა გადმოუგდიათ ნიკოლოზა წყეული.

მაკარის ბევრი ახსნა არ სჭირდებოდა. მას და ვასიუკასაც გაუგონიათ ხშირად როგორც თავიანთ სახლში აგრეთვე შეკრებილ მუშებში სიტყვა რევოლიუცია და იმ საბედისწერო სიტყვებთან შედარებით ეს საბედისწერო სიტყვა იყო გამამხნეველები. პირველად რაც მას მოაგონდა ეს იყო სამუშაოს მოთხოვნა და ვაფაცივებით ეძებდა ვასიუკას ხალხში რომ იქნებ მისულიყვენ ევანგელს და ეთხოვნათ სამუშაო.

მიტინგზე კი ორატორი სცვლიდა ორატორს გულ ამაჩუყებელ და მასთან შეფის წინააღმდეგ ბრახით აღსავსე სიტყვებით. ხალხი მათ უსმენდა გოლისყურით. არავისაგან არ ახსოვდა რომ თებერვლის ქარი, და დღით დანათოვისაგან დარჩენილი თოვლქყაპის გუბებში უწყალოდ აცივებდა შეუმოსავს სხეულებს და ჰკანკალებდნენ. პირიქით, რომ ორატორები არ დაღლილიყვენ შუალამედე გასტანდა მიტინგი და ხალხიც სიამოვნებით ისმენდა.

ყველანი ლაპარაკობდნენ ორატორის ღირსებასა და რევოლიუციის წინაშე დამსახურებაზე. და მაკარისაც მოუწონდა ვინმესთვის გაეზიარებია თავისი აზრი. მაგრამ ვასიუკა არსად სჩანდა და მას კი სხვა ამხანაგი არავინ გააჩნდა.

სად იყო ვასიუკა?

იგი სადღაც იყო ხალხის შუაგულში. პირდაღებული, ერთს ადგილს

დადებულ ნამორივით, უგდებდა ყურს ამ საზღაპრო გამბედაობის ადა მიანებს, რევოლიუციონერებს, რომლებიც ობრძოდნენ შეფის წინააღმდეგ მთელი თავისი შეძლებით, სიმშლით და სიცივით გაწამებულები, მოშორებული მშობლის სახლსა და ვინ იცის რამდენი წლობით, — ნატანჯი ციმბირსა და უფრო შორს ცივს ქვეყნებში.

მხოლოდ მაშინ მიაგნო მაკარიმ ვასიუკა, როდისაც დაიშალა მიტინგი. ვასიუკას პურიც კი ეშოვა ჩავლილ ეშოლონიდან ბაკლაუკა წყლის მოტანით ჯარიყვაცისაგან.

შეხვედრა გაეხარდა მაკარის.

მაგრამ მათ ერთი მეორესი შეხედვა ველარ მოახერხეს. თითქოს ეუბნებოდნენ ერთი მეორეს მიშვერილ კედლებით:

ნახე რა მშვენიერი ადამიანები ყოფილან ქვეყანაზე, როგორი წარსულით, როგორი გულით და სულით?

— კაქაა რა ვასიუკისადა.

— ჩვენ კი...

— ცუდი ბიჭები.

— ვინ იცის ჩვენ იქნებ აღარავისთვისაც აღარ ვარგვივართ.

— დიას, აღარ ვარგვივართ!

— მაგრამ, მეგობარო, შენ ალბად გშინ. ჩვენი კუჭი და შენი ხომ ორივე ჩვენს ქვევითაა ის და მხოლოდ ჩვენ გვემორჩილებიან. მაშასადამე, სამუშაო უნდათ.

— აჰა ნახვეარი პური ამის მეტი ვერ ვიშოვე.

მაკარიმ გამოართვა პური მეგობრებს, ჩაბლუჯა პირით და შეხედა ვასიუკას მწარეთ. ვასიუკას თვალები წყლით თუ მარილით იყვენ სავესენი და ყავარში გაპარულ კამარა წვეთებივით ცივად და ჩქარა სცვიოდნენ ბაქანის ხრეშზე.


მაკარი გაბრუნდა.

ვასიუკაც.

დაიღრიალეს ორთავემ. გაიქცნენ სხედასხვა მხრით.

და გადაწყვიტეს თავიანთ გულში არასდროს აღარ შეხვედროდნენ. მათ რცხვენოდათ ერთი მეორესი.

ქარი ზუზუნებდა, როხინობდნენ დაუმაგრებელი სახურავები და ყმაწვილებს, ზევით და ქვევით გატყაულებს, ეჩვენებოდათ, რომ ისინი იყვნენ ძალები ადამიანების ფეხებით, უჩინარი კულებით, რომლებსაც ეხათ თუნუქები ბოროტად მოხარხარებისაგან ჩაბმული. თუნუქების რახუნე მათ აფრთხობდა და გარბოდნენ ისინი. ვილაყვები პირდაღებულნი, სახე განრისხებულნი უმზერდნენ მათ.





# ოპოზიციის სადარიაოება

ნავთსადგურში სიჩუმეა. მყუდროებას ხანდახან ორთქლმავლის კივილი არღვევს, რომელიც ქმინავს ოდესის სადგურის ახლოს. ამ კივილს ხანნი მისცა დიდმა გემმა, რომელიც ნავთსადგურში იდგა, მქმინავი გემიდან მეზღვაურები გადმოვიდნენ; მათში ერთა პატარა მეზღვაური სტიოპკა, რომელსაც სიხარულით უბწყინავდა დიდრონი თვალები.

— სტიოპკა, ნავსადგურში არავინ არ ჩანს, რაიმე დალატი არ იყოს, მიმართა სტიოპკას ჭადარა მეზღვაურმა მიშამ.

— არა, ძია, ისინი ჩვენ არ გვიღალატებენ; ხომ გახსოვს, რა სთქვა ძია კოლამ — ბოლშევიკები ისეთი ხალხია, რომ მათში დალატი არ უადა იყოს და თუ გამოჩნდა რომელიმე მერყევი, მას მოვუგრებთ კისერსო.

— ეს კი მართალია, მაგრამ... ვეჭვობ, — სთქვა მიშამ და ჩიბუხი გააბოლა.

ნავსადგურში არავინ არ ჩანდა, ყველგან სიჩუმე იყო გამეფებული. ხანდახან ორთქლმავალი შეჰკვივლებდა, ისიც ნელის ხმით, თითქოს ისიც რაღაც საფრთხის მოლოდინშიაო. ოდესის მთავარ ქუჩებში ერთი-ორი პოლიციელი ან მეეზოვე თუ გამოჩნდებოდა, რომელიც სიცივით და შიშით მოკრუხხულნი ელოდნენ ოქტომბრის დიდ გადატრიალებას. ნავსადგური მალე გადავიდა მუშათა მძლავრმა ყიჟინმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა.

— ძირს დროებითი მთავრობა, ძირს კერენსკი.

ბობოქრობდა მუშათა რევოლიუციონერი რაზმი და უახლოვდებოდა ნავსადგურს.

— მოდიან, მოდიან, ძია მიშა! — თამამად დაიძახა სტიოპკამ და კისერი მიიღერა იქით, საიდანაც მოდიოდნენ რევოლიუციის პირში შვილები.

— გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას, გაუმარჯოს ძია კოლას, ვაშაა! გაჰყვიროდა სტიოპკა, და მის ხმას ასიათასი ხმა უერთდებოდა „ვაშა“-ს ძახილით. მიტინგი ნავსადგურში გაიმართა. ტევა არ იყო, თანდათან ემატებოდნენ მებრძოლნი, ტრიბუნალზე ავიდა ძია კოლა, რომელიც დაფარული იყო გაჯაგრული წვერულვავით.

— ამხანაგებო — დაიწყო მან. — მივესალმები დიადი ბოლშევიკური პარტიის გმირებს, თანამებრძოლებს, და ფიცს ვდებ მათ წინაშე — არ დავხარო ეს სისხლიანი დროშა და ბრძოლით მივიტანო ის საბოლოო გამარჯვებამდე.

ძია კოლას აღფრთოვანებულ სიტყვა ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა. ტრიბუნალზე ავიდა ძია მიშა. მან გაკაჟებული თვალები ხალხისაკენ მიაპყრო და დაიწყო:

— მეზღვაურთა სახელით მივესალმები მუშათა რევოლიუციონერ მასას, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს დიდი რევოლიუციისათვის, მედგრად, ამხანაგებო, არ შევეშინდეთ მტერს და ჩვეცხოთ ცეცხლიანი მახვილი, ძირს კერენსკი, გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას და მის ბელადს ამხანაგ ლენინს!

დაამთავრა ძია მიშამ, და ნავსადგური ვაშას გუგუნმა შთანთქა. ტრიბუნალზე მუშათა წარმომადგენლები სცვლიდნენ ერთმანეთს, მათი ბრძო-

ლას ხათოსით წარმოთქმული სიტყვები ჩხტუზიანს იწვევდა ყველას გულში. მიტინგი დამთავრდა, და ყველანი დიდ გემზე მოეწყვენ. დიდმა გემმა გასცურა ზღვის ტალღები; ამ გემს პედროგრადისკენ მიყავდა აჯანყებული რევილიუციონერი მასა და დახავსებული წესწყობილების დასამხობად; გემში ისმოდა ინტერნაციონალის სიმღერა, რომელიც ახმაურებდა.

ვათენდა. პეტროგრადის ქუჩებში იგრძნო დღის სინათლე. ყაზახები და გეშილი ძალებივით ეცენ მუშათა უბნებს. მუშები საღამოობით მიდიოდნენ არალეგალურ კრებებზე, სადაც ისმენდნენ ბოლშევიკური პარტიის პროგრამას და ერკვეოდნენ სხვა დასხვა საბრძოლო ამოცანაში, მარქსისტულ საკითხებში.

ყაზახთა რაზმმა ჩამოუარა არალეგალური მუშაკის, აქტიური რევოლიუციონერის ვანია პეტროვის ბინას და ალყაც შემოარტყა; ვანიას შეუოლე თედოსია და ვაჟი სტიოპკა, რომელიც ათი - თერთმეტი წლის ძლივს იქნებოდა, მედგრად შეხვდნენ მათ მოსვლას.

— ჯალათებო, რას დაეძებთ, აქ ვერაფერს იპოვით! — შეუყვირა სტიოპკამ და შავი დიდრონი თვალები შეანათა ყაზახებს და უნტერ ოფიცერა.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარ ხარა ოფიცერმა და სტიოპკას მუჯულუგუნნი წაჰკრა — სუ, შე პატარა ლეკო, თორემ ამ მაუზერით გაგიხვრეტ შუბლს, შეუყვირა უნტეროფიცერმა და ჰკრა ხელი.

სტიოპკა დაბარბაცდა, მაგრამ უტეხ თავი შეიკავა და მედგრად შეუყვირა უნტეროფიცერს:

ბატონო ოფიცერო, იცოდეთ, დადგება ისეთი დრო, როცა გამარჯვებული მუშათა კლასი ხმლით წაგადგებინებს მაგ უტვინო გოგრას და იძიებს შურს!


ოფიცერი გაშრა, არ მოელოდა ჰა-ჰა-ჰა ბავშვისაგან ასეთ პასუხს, შეჰდევ ყაზახებს მიუბრუნდა და გადაურუხილა: „რა გულადი ბავშია“.

— ეს ბავში დააპატიმრეთ, — ბრძანა უნტეროფიცერმა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

— ოპ, ჯალათებო, მომკალით, რას უყურებთ? გამიხვრიტე შუბლი, რეგვენო ოფიცერო! — გაიძახოდა სტიოპკა და კედელზე მიკრული მისჩერებოდა ოფიცერს.

ყაზახები მისცივდნენ ბავშს, მაგრად შეჰკრეს და ცხენზე მოათავსეს, შემდეგ მხიარული სიმღერით, არაყით გაბრუებულნი, გაუდგენ გზას.

სტიოპკას დედა ფედოსია, როგორც ვაჟი, ისე მისდევდა, თმაგაწე-



აფხაზეთი. თამბაქოს პლანტაციები



წილი, ყაზახთა ცხენებს. ბოლოს არა-  
ქათგამოლეულმა აიღო დიდი ქვა  
და ოფიცერს თავში უსწორა. ქვა  
შურდულივით გაიჭრა... ოფიცერის  
ცხენი შეტორტმანდა და ოფიცერი  
ძირს გადმოვარდა.

—რა მოხდა?—იძახდნ გამვლელ-  
ნი.

ყაზახები ოფიცერის სულმობრძავ  
გვამს გარს ეხვეოდნ. ოფიცერის თავი  
სისხლში სცურავდა.

— წყალი, წყალი-ი-ი-ი.. წამოიხ-  
რიალა ოფიცერმა და სული განუტე-  
ვა, ფეოდოსია კი ხარხარით მივარდა  
ოფიცერის გვამთან, ერთი პეშვი მი-  
წა თვალეზში ჩაყარა და ჩასძახა: --  
ჩაძალღდი, ჩაძალღდი-ი-ი!

გაყატრებული ყაზახები მივარდნ  
ქალს და საშინლად სცემეს. შემდეგ  
ერთმა ყაზახმა, სთქვა: „ჩაყაძალღოთ  
ეს დედაკაცი, ჩაყაძალღოთ“!

და ნაგანი ხელში აატრიალა.  
— მომკალით!—გადიხარხარა ფე-  
დოსიამ და ტყვიას მკერდი მიუშ-  
ვირა.


იჭრიალა ნაგანმა, და ფედოსიამ სუ-  
ლი განუტევა. მხოლოდ ამის დაძა-  
ხება მოასწრო: „შვილო სტიოპკა,  
სტიოპკა“! შემდეგ ყაზახებმა ოფიც-  
ერის გვამი ფროთხლად აიღეს და ცხენ  
ზე დადვეს, მაგრამ ისინი გაკვირდნ,  
როცა ცხენზე სტიოპკა ვერ ნახეს.

— დავილუბეთ, პატარა ლეკვი გა-  
პარულა. ეჰ, რაც იყოს, იყოს, — ჩა-  
იქნია ხელი ერთმა ყაზახმა, და ცხე-  
ნოსან ყაზახთა რაზმი ისევ დაიძრა  
უოფიცროდ.

ფედოსიას გვამს ყვავ - ყორნები  
ჰკორტნიდნ.


ცა მოილუშა, მზე ღრუბლებში გა-  
ხვია.

**ავთანილ კაზმაძე.**



თამბაქოს აშრობენ

სტალინის სასაწყობო



**გაუპიროვნების ლიკვიდაციისათვის  
პიონერორგანიზაციისათვის**

სოციალისტური მრეწველობა  
იმით განსხვავდება კაპიტალისტური  
წარმოებისაგან, რომ სოციალისტუ-  
რი მრეწველობა ხასიათდება გეგმი-  
ანობით და მიზანშეწონილობით. გეგ-  
მიანობა—აი საყრდენი სოციალისტუ-  
რი საქალაქო და სასოფლო მეურნე-  
ობის. რაც უფრო და უფრო ვითარ-  
დება საბჭოთა წარმოება, მით უფრო  
იგი იღებს გეგმიანობის ხასიათს.

მაგრამ ზემოთ ნათქვამი იმას არ  
უნდა ნიშნავდეს, თითქოს შრომის  
მიზანშეწონილ ორგანიზაციასთან  
ერთად ჩვენში არ არსებობს ნაწი-  
ლობრივად მაინც დაუდევრობა და  
უპასუხისმგებლობა. თუ აქამდის ყო-  
ველივე ეს საუბედუროთ არსებობ-  
და, ამის უკიდველ ამხ. სტალინის  
თქმისა არ იყოს:

ესლა როცა გარემოება სულ სხვა-  
ნაირია, წარმოების გრანდიოზული  
მუშაობის დროს, გეგანტების საწა-  
რმოვო არსებობის დროს, გაუპიროვნ-  
ება ისეთი უბედურობაა, რომელიც  
საფროთხეს უქმნის ყველა ჩვენ საწა-  
რმოვო და საორგანიზაციო მიღწე-  
ვებს საწარმოვოში.

რა არის გაუპიროვნება?  
გაუპიროვნება არის სრული უპა-  
სუხისმგებლობა მინდობილი სამუ-  
შაოსადმი.

უპასუხისმგებლობა მექანიზაციის,  
დაზგების და ინსტრუმენტების მოვ-  
ლისათვის.

აქვს თუ არა ასეთივე გარემოებას  
ადგილი პიონერორგანიზაციაში?  
სამწუხაროდ აქვს. აი რაში გამო-  
იხატება იგი.

პიონერორგანიზაციის ამა თუ იმ  
ინსტრუმენტს სპეციალური მომვლე-  
ლი ან მეთვალყურე არა ჰყავს, თუ

ინსტრუმენტი დაზიანდა, არავინ იც-  
ისპასუხი ვის უნოს მოეთხოვოს, რად  
გან არავინ იცის ვის ხელში იყო იგი.

ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა,  
დოლს, დროშას, საყვირს და სხვა  
ინსტრუმენტებს ჰყავდეს სპეციალუ-  
რი მომვლელი, რომელიც ამავე  
დროს იქნება პასუხისმგებელი.

არის ასეთი შემთხვევა, როდეს-  
საც კოლექტივი გამოყოფს რამოდენ-  
იმე ამხანაგს ამა თუ იმ დავალებ-  
ის შესასრულებლად, მაგრამ არც-  
ერთ მათგანს არ აძლევს კონკრეტულ  
დავალობას. გამოყოფილი ჯგუფი  
ეყრდნობა თვითმდინარეებს, რადგან  
ჯგუფის ყოველივე წევრი ასე მსჯე-  
ლობს: მე, რომ არ გავაკეთო ჩემს  
გარდა ეს საქმე სხვასაც აქვს დავა-  
ლებული. დეე დანარჩენებმა გააკე-  
თონ, მე არც ისე საჭირო ვარ. ამ-  
გვარ მსჯელობას, როორც ზემოთ  
ვსთქვით თვითმდინარეებამდე მივყე-  
ვართ.

საქმე გინდაც საჩქარო იყოს ბიუ-  
როკრატიულად კიანურდება, რაც  
ამცვიცებს ორგანიზაციის მოოქნე-  
ლობას.

ზოგჯერ ასეც ხდება, დავალებას  
შესრულებას ხელს ჰკიდებს რამდენ-  
იმე ამხანაგი შეუთანხმებლად.

გაუპიროვნების ლიკვიდაციისა-  
თვის საჭიროა გეგმიანი მუშაობა და  
პასუხისმგებლობა. ესა თუ ის პიო-  
ნერი კოლექტივიდან უნდა იღებდეს  
დავალებას და მისი სრული პასუხის-  
მგებელი იყოს.

მუშაობის ასეთი მეთოდი ამავე  
დროს არის საუკეთესო აღზრდის მე-  
თოდი. ამ მეთოდის საშუალებით შე-  
იძლება ნამდვილი კომუნისტი აღა-  
მიანის შექმნა.

ა. ბ.



მდიდარი ქვეყანა გვაქვს. საბჭოეთის ვრცელ მიწაში ჩამარხულია უძვირფასესი განძეული, ათასგვარი, ათასი სახის და ხარისხის. ბუნების ძალებმა ისინი ჩვენში უხვად მოაქციეს თითქოს გვეხმარებიან.

„აჰა ჩემი მდიდარი ჯილდო, ისარე და აშენდი ქვეყანავ სოციალიზმისა.“

ხარობს და შენდება სოციალიზმის ქვეყანა. ბუნებრივ ჯილდოს მისაღებად მზად დგანან საბჭოეთის ქარხნები, ფაბრიკები, გიგანტები. ბუნებრივ ჯილდოს ამოსაღებად და გადასახილავათ განუწყვეტლივ ტრიალებენ და ვაჭკვიან საბჭოთა მანქანები. ბუნებრივ ჯილდოს მისაგებად და მოსაბოებლად დაუღალავად შრომობს საბჭოთა ინჟინერია. გუგუნებს ქვეყნის საამაყო წერტები: დონბასი, ურალი, ბაქო, ქიათურა და კიდევ მრავალი. მრავალი.

ხარობს და შენდება სოციალიზმის ქვეყანა: „მოგვეცი ქვანახშირი, მოგვეცი ნავთი, სპილენძი, ტორფი, საშენი მასალა, რკინა, ფოლადი“; ითხოვენ ქარხნები, ფაბრიკები. უშაღლეს წერტილს აღწევს ბრძოლა გარღვევისა და ჩამორჩენის წინააღმდეგ.

ხარობს და შენდება სოციალიზმის ქვეყანა, ჩქეფს ნავთი, მოღის ქვანახშირი, თუჯი, ფოლადი და კიდევ მრავალი — მრავალი ძალა. თანდათან მცირდება საზღვარგარეთიდან შემოტანილი მასალის რაოდენობა.

ჩნდება ჩვენში ახალი მადნების საბუდოები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას ვასახროდოთ ჩვენი ქარხნები ჩვენივე მიწის სიმდიდრით. ვპოულობთ ჩვენს მიწაში თვით კაუჩუქსაც კი.

საქართველოს ბუნება მოწინავე რიგებში დგას საბჭ. კავშირის სხვა რესპუბლიკათა ბუნების შორის. თქვენ იცით რა მადნებს გვაძლევს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ალბად ძალიან ცოტა იცით ახალ წარმოების, ანდეზიტის შესახებ.

ამის შესახებ მე მოგიყვებით. სწორედ ესლა ყაზბეგში მივემგზავრებდი ანდეზიტის სამუშაოების გასა-

ცნობად და მიმდინარე გარღვევაში ბრძოლის საწარმოებლად.

ჩვენი ავტომობილი სწრაფად გასცილდა ტფილისის მიდამოებს და საქ. სამხედრო გზით დუშეთისაკენ გასრიალდა. ლამაზი და საინტერესო სანახაოებია საქართველოს სამხედრო გზაზე. მთელი სიძველენი თვალ წინ გიდგას, ციხე-კოშკები, ძველი ხიდები, დანგრეული შენობები. ჩვენი დროის ადამიანს ეს ყველაფერი ისე ეჩვენება თითქოს ამ ადგილებში ვილაცას უთამაშნია და გასართობად აუფერებია ისინი. მართლაც და აბა როგორ უნდა გაუძლოს ამ მერცხლის ბუდესავით კლდეზე მიშენებულმა ბებრის ციხემ ან თამარის ციხემ ჩვენი დღეების სამხედრო ტენიკას?

გვეცინება წარსულზე და ჩვენი წინაპრების უსასობაზე, გავიარეთ დუშეთი და მთებში ამოვყავით თავი. დაიწყა ხევი.

შემოდგომის ფერდაკარგული ტყეები. გადატრუსული მთები. მთის მწვერვალებზე აქა იქ თოვლის ქულები. საკმარისი სიცივა.

ავტომო ბალტოები და თბილი ტანსაცმელი ვეღარ ძარულებენ თავის მოვალეობას ისე, როგორც ჩვენ მათგან მოვიტხოვთ. ვეღარ უძლებენ სუსხიან ჰაერს და იგი ჩვენს სხეულში ნემსებაევით მოსცურავს. ადგილობრივი მცხოვრებნი ცხვრებივით ჩათბუნებულან.

ცხვარი კი უთვალავია და ურიცხეა ამ ზეარეში.

მთის ფერდობები შეფენილია ამ მოხეტიალე ცხოველებით. ისინი ათასობით გადიან საძოვარზე. ეს არის კოლექტივის ფარები. საქ. სამხედრო გზა კავკასიონის მთაგრეხილს სჭრის სიგანეზე. ეს არის ერთად ერთი გზა კავკასიონის მთებში გასავლელი ინგუშეთისა. სამხრეთ-ოსეთისა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისაკენ. ამ გზაზე უმადლესი წერტილი, კავკასიონის მთაგრეხილის ჩრდილოეთ ფერდობიდან სამხრეთზე გადასასვლელი არის, გუდაურის სიმაღლე.

აქ სიცივეც უმაღლეს წერტილს აღწევს. გაქანებულ ავტომო მაინც იგი პირდაპირ აუტანელია.

გავიარეთ ფასანაურიც და საღამოს ყაზბეგში შეუდგქით.

აი ანდეზიტის რაიონი. —

ანდეზიტი სალი კლდის ქვებია. განსაკუთრებული შემადგენლობისა და სიმკვრივის. ეს ქვა ძალიან ბევრია ამ რაიონში. მაღალი მთები, გორები ანდეზიტისა გეამარაგებს ამ ძვირფას ქვით. არმის მთა, საკეცე, მაღალი თებია, თითქმის მთლანა ანდეზიტი

ანდეზიტი იხმარება ქიმიურ მრეწველობაში. ქიმიური მრეწველობა მკუბოპეტრობით წოითხოგს ამ ქვებს.

ანდეზიტის ქვა იხმარება ქიმიურ მრეწველობის სურჭლად. სხვა ქვები ყველა ქიმიურ შენაერთებს ვერ უძლებს, იგი მას სწავს და ხშირად აფუქებს. ანდეზიტის ქვა კი მას წლობით უძლავდება. ანდეზიტის ქვას ლამაზად და ზომიერად გამოაქვრან. აკეთებენ ქვებს, საწნახლის ფორმის სურჭლებს და სხვა. აქ ჩაისხმება ქიმიური ხსნარები.

ანდეზიტის წარმოება სრულიად ახალია. წინად იგი ჩვენ უცხოეთიდან შემოგვექონდა. ამ ქვაზე იხარჯებოდა აუარებელი ოქრო, მეფის რუსეთის თანხები. ეს მდგომარეობა გასაბჭოების შემდეგაც გარძეოდა, თუმცა მაშინ ჩვენს ქვეყანაში და თვით ყაზბეგშიც იყო აღმოჩენილი ამ ქვას საბუდოები და მისი ექსპლოატაციაც დაწყებული, მაგრამ იგი იმდენად კუსტარული იყო, რომ არავითარ ხელსაყრელ პირობებს არ ქნინდა. იხარჯებოდა საბჭოთა ოქროებიც მისი საზღვარგარეთიდან შემოსატანად, უცნობა შეუძლებელი იყო ჩვენი ქიმიური მრეწველობის განვითარების საქმეში.


ამ მდგომარეობამ დასვა აუცილებელ ამოცანად ჩვენშივე ანდეზიტის დამუშავების საკითხი, რომ ჩვენი ოქროების საზღვარ — გარეთ გატანა შემცირებულიყო და ამ საკითხში უცხოეთიდან დამოუკიდებელი გამხდარიყავით.

გაჩაღდა ყაზბეგის რაიონში მუშაობა. ეკვეთენ ჩვენი მუშები და მანქანები არმის მთას ამ მდიდარ ანდეზიტის კლდეს.

და თქვენ ალბად გახსოვთ, რომ ამ წლის იანვარში მოხეტქეს მთელი გვერდი ამ უხარმაზარ მთას. რამოდენიმე ტონა ამონალი (ასაფეთქებელი ნივთიერება) ჩაუშვეს მის გულში. მერე მას ცეცხლი წაუქიდეს და ამოდენა მასივი ბელორევით დაშალეს.

მეორე დილით ჩვენმა ავტომო ყაზბეგიდან ისევ უკან ხუთიოდე კილომეტრზე გამოგვაქროლა და არმის საწარმოებთან მოგვიყვანა.

ჩვენ წინ გადაიშალა მუშათა ახალი ქალაქი, სტანდარტიული შენობებხით, საცხოვრებელი ბინებით, და





წესებულებით, კლუბით, სასაღილოვებით და სხვა.

ეს ის ადგილია, სადაც ამ რამოდენიმე ხნის წინად მარტო თერგის გამუდმებული ხრიალი და მეცხვარეთა სტვენა ისმოდა. ამ მინდვრებზე კი სადაც ეხლა მუშათა ქალაქია. არშაველები სთესავენ ქერს.

დავათვალიერეთ მუშათა საცხოვრებელი ბარაკები, დაწესებულებები და სხვა.

ამ ახალ ქალაქს გვერდში უდგას არშის მალაღი მთა. თვით სოფელი არშაც აქვეა გვერდით. შიგ 31 კომლი სცხოვრობს, პატარა სოფელია. ძველი, ძალიან ძველი.

არშის მთის ფერდი ჩახრევილია ანაფეთქები ქვებით. ზედაც მუშათა ბრიგადები აცოცებულან და სჭრიან. ჰკვეთავენ კუბიკურ ქვებს.

მთელი დღე გაისმის ქვის მოლელობა ჯახუნნი. კაკანებენ პნემატიური ბურლები, ისინი ხვრეტენ ქვებს დინამიტის ჩასაშვებად, რომ ეს უკანასკნელნი დატეხონ პატარა ნაწილებად.

შევყვით მთას, მუშაობენ უკრაინელი მუშებიც. ისინი მოსულან აქ, რომ ჩვენს ქვეყანას მიაწოდონ აუცილებელი საჭირო მადანი.

საინტერესო ბრძოლაა ბუნების წინააღმდეგ. ბუნების მკვრივ მასასთან, ქვასთან. ადამიანის მკლავსა და გონებას იგი საშინლად დაუმონავებია და მიუცია ისეთი ფორმა, როგორც მის საჭიროებას მოუსურვებია.

კუბიკურად დაჭრილ ქვას ქვემოდაგორებენ, სადაც სპეცი ქვის მოლელები აძლევენ სხვადასხვა გვარ ფორმას.

სალამობით გაისმის სასტვენის ხმა. ეს არის ნიშანი. მუშები სასწრაფოდ მთიდან ჩამოსვლას იწყებენ

და თავს აფარებენ ხდება დინამიტების აფეთქება ქვის დასახეთქად.

აი მოვიდა ამფეთქებელი ქვის დიდ ზოდთან. ქვაში ჩარგულია დინამიტი და შნური ზემოდ ამოყვანილი სჩანს, ამფეთქებელიც შნურს ცეცხლს უკიდებს და სასწრაფოდ მეორე ქვასთან გადაინაცვობს, შემდეგ მესამესთან, მეოთხესთან და ა. შ.

ცოტა ხნის შემდეგ სრულ მყუდროობას დაარღვევს მეხივით გავარდნილი დინამიტი. ქვის ნატეხები ავარდებიან მალა და ხმაურითა და ჩხრიალით ეცემიან ასევე დამსხვრეულ ქვებში, ამას მოჰყვება მეორე აფეთქება და ასე მრავალი.

ბრძოლის ველს გაეს ეს მიდამო. ქვემეხებივით გუგუნებენ ქვები და ირღვივა მთის კალთა.

სოცმშენებლობის ფრონტი მართლაც ხომ ბრძოლის ველზე უფრო მაგარი მტკიცე ფრონტია?

სოფელი არშა უძველესი სოფელთაგანია ხევში ანდეზიტის საწარმოების გვერდით მდებარეობს იგი. სწორედ იმ ადგილას, სადა კედლებს არღვევენ, არშის ციხე ყოფილა მათა ვსებულები და თვით სოფელიც. ახლა ეს ციხე მხოლოდ ნანგრევებია. არშის მთის აფეთქება აუცილებელს ხდის თვით სოფ. არშის ამ ადგილიდან გადასახლების საქმეს.

საძნელოა სოფლებისათვის ნაჩვევი ადგილის დატოვება. განსაკუთრებით მოხუცები ვერ ურიგდებიან ამ ამბავს.

ხელისუფლება კი არშველებს უშენებს ახალ სოფელს, სადაც ისინი უკეთეს პირობებში იცხოვრებენ ვიდრე ამ ძველ დანგრეულ ბუნაგებში. ხარობს და შენდება ქვეყანა სოციალიზმისა.

ირ. აბაშიძე.



ანტიპანური დემონსტრაცია ნანკინში

## ოქტომბრული

დღეს მე-14 წელი გვეახლა გულო — შენ მკერდში უფრო დელი.

მე იმ მძაფრ დღეებს ვიგონებ ახლა, როცა იბრძოდენ ჩვენი მხედრები.

— :

ჩვენ გადავურჩით ათასგვარ ხრამებს, თუმცა მრავალჯერ გადაჭრეს ძარღვი.

მაგრამ მტრის ხარჯზე დაცვა ღამით უსუსური მტირალა ბაღლი.

— :

დღეს მშენებლობის მუხლებს რა დაღლის

დაგვემილია ღვედის ტრიალიც, და შრომის დროშას არასდროს დავხრით ავსწევთ საბჭოთა ინდუსტრიალიზმს.

— :

თუ ოქტომბერი უფრო გაზრდილა, ის მიღწევების ზღვა ციფრებს ითვლის.

მოაქვთ ცნობები ყოველ დაზვიადან — ბოლშევიკური მზადდება ნივთი.

— :

მოდის ზეიმით თვე მემამბოხე, ჩვენც მიღწევების გვაქვს დახანდება, იბრძვის მასები არასდროს მოხდეს რევოლიუციის დღის დაბინდება.

— :

კლასიურია მასის გუგუნნი, ცამდე აწვდილი მოგვაქვს დროშები, ჩვენ შვილები ვართ ამ საუკუნის ეპოქის განცდით შენამოხები.

— :


და ბრძოლის მძლავრი ბარიკადებდა, ჩამწკრივებული მოხიანს მკერდები; რიგში ჩამდგარნი ჩვენ ბრიგადებდა აღმშენებლობას შევამბრებთ.

— :

სხვა თვეთა შორის შენებრ ძლიერი —

ისტორიულად მითხრან სად არი. და ეს ზეიმიც მოაქვს იერიშს რადგან თვეების შენ ხარ სარდალი.

გრიშა მსებუა.



ბაშის აკრეფა ანერკული მანქანის საშუალებით





ეს არის ისტორია შან-ფეის, ხუნანის პროვინციის მდიდარი მემამულის ქალიშვილის, რომელიც ვაკომუნისტა და გლეხთა მოძრაობის ერთი ბელადთაგანის ცოლი გახდა. პატარა შან-ფეი სკოლაში დადიოდა და აბრეშუმის ტანსაცმელი ეცვა. დედა მისი ძველი ჩვეულებების ადამიანი იყო. როგორც ყველა გლეხის ქალს, მასაც ბავშობიდანვე შეკრული ჰქონდა ფეხი. ის უსიტყვოდ ასრულებდა ძველი ზნეჩვეულებებისა და ადათების თაყვანის მცემელი ქმრის სურვილს, როცა შვილები ცოტა წამოიზარდნენ, ისინი სკოლაში მიზარებენ, და იქიდან ვაჟები ახალი პროგრესული იდეებით გაქვნილი დაბრუნდნენ.

შვილების აღზნებულმა სიტყვებმა და ქალის მძიმე მდგომარეობის საკუთარმა გამოცდილებამ იძულებული გახდა შან-ფეის დედა ეფიქრა ქალიშვილის მომავალ ბედზე.

ცრემლით, ჩხუბით და მოხერხებით, როგორც იქნა, დაითანხმა ქმარი შან-ფეის დედამ მისთვის განათლების მიცემაზე. შან-ფეისთვის ჩინური ანბანი მასწავლებელი დაიჭირა ვის.

მიუხედავად ამისა, პატარა შან-ფეი ფეხშეკრული დადიოდა, როგორც ამას ჩინური ჩვეულება მოითხოვდა, და ბავშობიდანვე იყო დანიშნული მდიდარ მეზობლის უმცროსი ვაჟის საცოლედ.

თერთმეტ წლამდე ითმენდა შან-ფეი მამის უდიერ მოპყრობას. მამა უეცრად გარდაიცვალა. ვერც კი მოაწერეს მამის დამარხვა, რომ შან-ფეი იმ ფეხის დამამახინჯებელი სახვევები შემოიგლიჯა, და საფლავის მიწა არ გამშრალიყო, რომ სკოლაში შევიდა.

პატარა ფეხები განთავისუფლდნენ ხუთი წლის მონობიდან, მაგრამ ფეხის დიდი თითები უკვე მკვდარი იყო დამამახინჯებელი სალტეებიდან და ხელს უშლიდა შან-ფეის თავისუფალ სიარულს. ქალთა მონობის ერთი სიმბოლოთაგანი გაქრა შან-ფეისათვის, მხოლოდ მეორე აწუხებდა კიდევ. ეს იყო მდიდარი მეზობლის შვილის მიერ დანიშვნა. ქალის ასეთ დანიშვნას ჩინეთში კონონიერი ქორწინების ძალა აქვს, და მშობლები, რომელნიც ამას დაარღვევენ, კანონით ისე ისჯებიან ვითომ დიდი სისხლის დანაშაული ჩაედინოს.

შან-ფეის დედაზე ეჭვი მიიტანეს, რომ ის ყოველი საშუალებით ცდილობს ამ ქორწინების ხელის შეშლას და, რაც უარესი იყო, ამბობდნენ აგრეთვე, რომ დედა ყოველ მხრივ ხელს უწყობს თავის ქალიშვილს ქალ-

თა განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ შან-ფეიმ მოაწყო მოწაფეთა გაფიცვა სასკოლო ადმინისტრაციის წინააღმდეგ. შან-ფეის თექვსმეტი წელი შეუსრულდა და მისი გათხოვების დრო იყო. გამორიცხეს სკოლიდან, და ის ამყად თავ აწეული დაბრუნდა შინ. დედა მისმა, გაწყრომის მაგიერ, ის უხანის ოლქის სკოლაში მიაბარა.


ბოლოს მდიდარმა მეზობელმა უჩივლა შან-ფეის დედას სასამართლოში, რომ მან ხელი შეუშალა მისი შვილის კანონიერ ქორწინებას. შან-ფეის დედამ სასამართლოში ყოჩაღად დაიცა თავი და სასამართლოც დაარწმუნა, რომ მა სურს ქორწინების მხოლოდ ორი წლით გადიდება.

ადათის მიხედვით, მეზობელმა დახმარებისთვის ადგილობრივ თავად-ანანურობას მიმართა. როცა შან-ფეი არდადეგებზე შინ დაბრუნდა, ის მოიტაცეს, მაგრამ შან-ფეი გაექცათ და მთელი შემდეგი წელი უხანში გაატარა. როდესაც ის კიდევ დაბრუნდა შინ, ის კიდევ მოიტაცეს, მაგრამ დედა კიდევ დაეხმარა და გააპარა.

უხანში დაბრუნებისას შან-ფეიმ შეიტყო დედის უეცარი გარდაცვალება. შეიძლება ბუნებრივ სიკვდილით გარდაიცვალა, შეიძლება არა, ვის იცის!

ის ჩემი გულისთვის მოკვდა, თქვა შან-ფეიმ და ერთი წვეთი ცრემლიც არ გადმოვარდნია.

სკოლის ამხანაგები ეცადნენ დაერწმუნებიათ შან-ფეი არ წასულიყო შინ დედის დამარხვაზე, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ურყევი იყო. მო-



კვდა არა მარტო დედა მისი, არამედ ქალთა განთავისუფლებისთვის მებრძოლიც, და მას სურდა მისი ხსოვნის პატივისცემა.

შან-ფეი ახალგაზრდა და უშიშარი იყო. ის ამყობდა, რომ ორჯერ გაექცა დამონებას და მომავალშიაც გამარჯვებული გამოვიდოდა. წასვლის წინ ის მოელაპარაკა თავის სკოლის ამხანაგებს, რომ მოეწყოთ დაცემა მის განსათავისუფლებლად, თუ ის დანიშნული დროისთვის არ დაბრუნდებოდა უხანში.

როგორც კი დამარხეს შან-ფეის დედა, შეიარაღებული ხალხი დაეცა სახლს და ძალით წაიყვანეს შან-ფეი სასიძოს სახლში. იქ შან-ფეი გამოაწყვეს საქორწინო ტანსაცმელში და მისცეს საქორწინო წესებისთვის მომზადების საშუალება. შან-ფეიმ შიმშილობა გამოაცხადა და ერთი კვირის განმავლობაში არაფერი უჭამია. მან შიმშილობა შესწყვიტა მხოლოდ მეორე ქალის ზეგავლენით, რომელიც მდიდარი მეზობლის პირველი ცოლი და ქმრის გავლენის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. ის ძალიან დაუმეგობრდა შან-ფეის.

მისი გაკლენის წყალობით შან-ფეის ნება დართული ჰქონდა სახლში და ეზოში თავისუფლად სიარული.

ერთხელ უხანიდან სამი მოსწავლე ერთი ქალი და ორი ვაჟი—ჩამოვიდა. ისინი მეზობელ სახლში გაჩერდნენ და მოსყიდული მოსამსახურე ქალის საშუალებით შან-ფეის ბარათი გადასცეს. ერთ საღამო უამს შან-ფეი მივიდა ეზოს კედლებთან და უეცრივ გაქრა მის მეორე გვერდით. იმ ღამეს შან-ფეი და მისი ამხანაგები უხანის მიმართულებით გაიბარეს.

ეს იყო 1926 წლის ზაფხულში. დასავლეთ არმიის ნაწილებმა დაიწყეს უხანის ალყოს შემორტყმა. შან-ფეიმ მიანება სწავლას თავი და ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრი გახდა. მუშაობაში მან ვაიცნო გლეხთა მოძრაობის ერთი ხელმძღვანელთაგანი და შეუყვარდა. მან დაიწყო ცხოვრება ისე, როგორც ლარიბი დოხობა (ცხოვრობდა, მათსავით იცვამდა, ჰამდა და მუშაობდა. ორსულობის დროსაც კი მთელ თავის ენერჯიას რევოლუციას სწირავდა და როდესაც ბავში დაებადა, სხვებსავით შეისვა ზურგზე და ისე განაგრძობდა მუშაობას.

ამ ხანაში გომინდანი კიდევ არ იყო გადაქცეული სოციალ-გამკემლურ პარტიად და კომპარტია მასთან ერთად მუშაობდა. როგორც უფრო აქტიური რევოლუციონერი ქალი შან-ფეი თავის სამშობლოში



გაგზავნეს გომინდანის ქალთა განყოფილების ხელმძღვანელად. იქ შან-ფეი ვახდა რევოლუციონური ტრიბუნალის წევრი, რომელიც ასამართლებდა რევოლუციის მტრებს, აწარმოებდა მდიდარი მემამულეების მიწის კონფისკაციას და ამ მიწებს ღარიბ გლეხებს აძლიოდა. შან-ფეი დაეხმარა რევოლუციონერებს თავისი ოჯახის კუთვნილი მიწისა და ყოფილი საქმროს მიწების კონფისკაციაში.

როდესაც მოძრაობამ სოციალური რევოლუციის ხასიათი მიიღო და კომუნისტური პარტია გომინდანს გამოეყო, დაიწყო საშინელი თეთრი ტერორი, რომელმაც ათი-ათასობით დაიღუპა აჯანყებული გლეხები და მუშები. მილიტარისტები და მემამულეები დაუბრუნდნენ ხელისუფლებას. შან-ფეის ოჯახმა და მისი ყოფილი კანონიერი საქმროს ოჯახმა სთხოვეს გომინდანს, შან-ფეის დაპატიმრება. გაიცა ბრძანება მისი დატუსაღების შესახებ, რაც შან-ფეის და მისი ბავშვის სიკვდილს მოასწავებდა. მუშაობაში მისი ამხანაგები ორი ქალი და სამი მამაკაცი დაიჭირეს; ქალებს დააჭრეს ძუძუები და ყრავი ხოთი ამხანაგი შუა ქუჩაში სიკვდილით დასაჯეს. შან-ფეიმ შესძლო თავის გადარჩენა.

შან-ფეის ამხანაგმა მუშებმა გახვიტეს დასჯილი ამხანაგების კუბო, მოათავსეს შიგ შან-ფეი თავისი ბავშვით და სამხედრო დარაჯებან შეუმჩნეველად ქალაქს გარეთ გაიტანეს სასაფლაოზე. იქიდან შან-ფეი უხანში გაიქცა. კომუნისტური პარტიის მიერ შან-ფეი მალე ისევ გაიგზავნა ხუნანის დასავლეთ ნაწილის ბრძოლის შუა გულში.

გლეხები შეიარაღდნენ, უარი განაცხადეს ბუგარის გადახდაზე და დაიწყეს მემამულეების მიწების ჩამორთმევა. შან-ფეი დღე მათთან იყო და ღამ-ღამობით ტყეში დადიოდა დასამალავად მათთან ერთად, ვისაც სახლში გათევის შიში ჰქონდა. სამხედრო რაზმები დაეცენ აჯანყებულებს და გლეხთა მოძრაობა დაამა-



რცეს. რამოდენიმე ათასი რევოლუციონერი გლეხები მოჰკლეს, და შან-ფეი იძულებული გახდა უხანში დაბრუნებულიყო. შან-ფეი კიდევ გაგზავნიეს ცხარე ბრძოლის ფრონტზე. ამ შემთხვევაში ის წავიდა, როგორც გომინდანის წევრი, ქალაქის კედლებს უკან კი იდგენ აჯანყებულ გლეხთა რაზმები. ქალაქში შან-ფეი მოქმედობდა, ოფიციალურად როგორც გომინდანის ქალთა განყოფილების ხელმძღვანელი, და ჩუმად აწარმოებდა ჯარისკაცთა და მუშობის შორის კომუნისტურ პროპაგანდას. იქ შან-ფეი შეუწყარავდა იურიდიულ განყოფილების უფროსს. ის იყო სამხედრო პარტიის მომხრე, მდიდარი გავლენიანი კაცი. შან-ფეი ყურადღებით ისმინდა მის სიყვარულის ახსნას, მაგრამ არ დავიწყებია თანაც გამოაოთხა, თუ როგორი გეგმობა გათვალისწინებული გოიხთა რაზმების სასანაოთორებლად მან ამის შესახებ დაწერილებით უამბო შან-ფეის, რომიღამაც ეს ცნობები გაიდასა და გლეხთა რაზმებს. გლეხთა მოძრაობის ერთი ხელმძღვანელთაგანი მისი ქმარი იყო. ბოლოს გლეხთა რაზმებმა დაიწყეს შიკრიძაზე გადასიოთა ქალაქის ასაღებად. შან-ფეი თაროლად და ამკარად იწიოთა კომუნისტურ აგიტაციას გამინდანის ჯარებში. შან-ფეი დაატუსაღეს და მიოსაჯის სიკვდილით დასჯა. ამის შესახებ მან აწიოთა თავის გაიოინიან „საყვარლოს“ ის ენოთ მის ჩვენებას და გაანთავისოთლა. ამ დროს გლეხთა არმია სასტიკად დამარცხდა. ცოცხალი გადარჩა შან-ფეის ქმარი, რომიღამაც ძლიერ მოძიბნა უხანში შან-ფეი.

პარტიის დახმარებით შან-ფეი ბეჭდავდა ლიტერატურას. ერთ მშვიდნიერ დღეს მისი სახლი გარსემიორტყმულ იქნა ჯარის კაცებით. მაგრამ არც ის და არც მისი ქმარი სახლში არ იყვნენ. შან-ფეი შორიდან ხედავდა, როგორ არჩყავდნენ მის ბინას ალყას. რამოდენიმე საათის შემდეგ ისინი ჩუმად მივიდნენ სახლში ბავშვის წასაყვანად, მაგრამ ბავშვი წყლით სავსე ქვაბში ჩიებრჩოთ.

ერთხელ შან-ფეიმ ინახულა უხანის იმ სკოლის უფროსი, სადაც ის სწავლობდა, და იმ ღამეს იმ ქალის ოჯახში დარჩა ღამის გასათევად. დილას შან-ფეი გამოაღვიძა ბულშემშარავემა ყვირილმა და მოესმა

ქმრის ხმაც.

— ჩვენ კომუნისტებისთვის ვაპდე-ბით! გაუშვარჯოს რევოლუციონერებს გარკვევით ესმოდა მას. მისმა ამხანაგმა დაიკო ყურები და წამოიძახა:

— ყოველ დღე მოჰყავთ ამ მოედანზე კომუნისტები და სიკვდილით სჯიან!

იკრიალა თოფებმა, და ხმა მისწყდა. შან-ფეი იმ წამსვე გაიქცა მოედანზე. ჯარის კაცები უკან ბრუნდებოდნენ. ხალხის პატარა გროვა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა დახვრეტულთა გრძელ რიგს. შან-ფეი დაეცა ჯერ კიდევ ქმრის გაუციებელ გეგმზე.

თეთრი ტერორი შეფობდა უხანში, და შან-ფეი გადაასახლეს ქალაქიდან. ის დაეხეტებოდა ქალაქიდან ქალაქში მუშაობდა ფაბრიკაში, აერთიანებდა ქალთა და ბავშვთა რიგებს. მან დიდ ხანს ვერ შესძლო მანქანასთან მუშაობა, რადგან დამახინჯებული ფეხი არ აძლევდნენ 12-14 საათის მანქანებთან მუშაობის საშუალებას.

1929 წლის გაზაფხულზე შან-ფეი მონაწილეობდა ხუნანის პროვინციის გლეხთა აჯანყებაში. ის ორ კომუნისტთან ერთად დაატუსაღეს და ექუსი თვე დაჰყო ციხეში. ის გამოუმევეს ახალი სამხედრო პარტიის ძველზე გამარჯვების შემდეგ.

1930 წლის გაზაფხულზე პარტიამ გაგზავნა შან-ფეი დღეგატად სრულიად ჩინეთის საბჭოების ყრილობაზე, მაგრამ შან-ფეის ჯანმრთელობა ამ მბრძოლებში საგრძნობლად შეირყა. და ყრილობის შემდეგ ამხანაგებმა შან-ფეი საავადმყოფოში მოათავსეს საოპერაციოდ.

— ეხლა უკვე მაქვს დრო თეორიული მომზადებისათვის, — ამბობდა ის საავადმყოფოში. თავს ქვეშ მას მარქსისა და ლენინის თხუზულებები ჰქოიდა ამოდებულნი...

ს. ა.





ს ა ხ ე ლ მ წ ი ზ ო



გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

**ვიიღვა სელისმოფიკა 1932 წლისთვის სსსრკ-ის უიღვა  
ურნალეზე.**

„მ ნ ა თ ო ბ ი“	12 ნომერი, 9 წიგნად,— 1 წლით	12 მ. 6 თვ. 7-85
„პროლეტარული მწერლობა“	„ „ „ „ 1 „	6 მ. 6 „ 3-50
„პარტიული მწიგნობა“	ორ დეკადაში ერთჯერ 1 „	5 მ. 6 „ 2-50
„კომუნისტური რამოლიუსია“	ორკვირეული . . . 1 „	6 მ. 6 „ 3-00
„წ ი ზ ნ ი“	ყოველთვიური . . . 1 „	3 მ. 6 „ 1-70
„ლიტერატურულ ფრონტზე“	ორთვეში ერთჯერ (გა- მოდის ქუთაისში) . 1 „	3 მ. 6 „ 1-70
„ბ ი ო ნ ე რ ი“	ს ორკვირეული . . . 1 „	4 მ. 6 „ 2-10
„მ ძ ტ ო მ ბ რ ე ლ ი“	ბ ყოველთვიური . . . 1 „	3 მ. 6 „ 1-70
„ქ ა რ მ ი რ - წ ი ლ ე რ ი“	ვ ყოველთვიური (სომხ.) 1 „	3 მ. 6 „ 1-70
„ე ნ ი - კ უ ვ ვ ე“	მ ყოველთვიური (თურქ.) 1 „	3 მ. 6 „ 1-70

რადგან თვითველ ჟურნალისთვის წინასწარ დაწესებულია განსაზღვრული ტირაჟი, ამიტომ საჭიროა მსურველებმა დააჩქარონ ხელის მოწერა.

**ს ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ლ ე ბ ა :**

1. ტფილისში, პერიოდსექტორში—ჯორჯაძის ქ., № 1.
2. სახელგამის ყველა მაღაზიაში—ტფილისსა და პროვინციაში.
3. პერიოდსექტორის რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.

სახელგამის პერიოდსექტორი.

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობათა სტამბა ტფილისი, კამოს ქ., № 68  
 მთავლიტი № 2032. შეკვეთა № 3122. ტირაჟი 4.400.



